ხელშეკრულება №

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი **იანვარი 2020 წ.**

დაიდო, ერთის მხრივ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი _____ სახით და მეორეს მხრივ, _____’’(შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი _____ სახით, შემდეგზე სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ 2020 წლის _____ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის _____ შედეგების მიხედვით შესყიდვაზე.

1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

1.1. ,,ნაგვის/ნარჩენების ინსინერატორების მონტაჟი’’ (CPV 51135110-შემდგომში „მომსახურება“) შესყიდვა, დანართი #1-ის შესაბამისად , რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

(,,მიმწოდებელმა''უნდა გაითვალისწინოს, რომ ახალი ინსინერატორების მონტაჟს ახორციელებს ინსინერატორების მწარმოებელი კომპანიის მიერ გამოგზავნილი ინჟინერი, ხოლო ,,მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს სპეციალისტ(ებ)ის გამოყოფა და დახმარება ინსინერატორების მონტაჟის დროს (მონტაჟის სხვადასხვა პროცედურები, შეერთებები, დამაგრებები, გადაჭერები, ელექტროობა, ბუნებრივი აირის მილების დაერთება და სხვა).

2. ხელშეკრულების საფუძველი

2.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.

2.2 დაფინანსების წყარო: 2020 წლის დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ (_____) ლარს (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადის გათვალისწინებით მ.შ დღგ.)

4. ხელშეკრულების კონტროლი

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს – „შემსყიდველის“ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი ან/და შესაბამისი ფუნქციებით აღჭურვილი პირი რომელიც წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, განახორციელებს ინსპექტირებას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

4.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიმწოდებელს.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. „მომსახურების“ უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი“ საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის“ ინტერესების გათვალისწინებით.

5.2. „მომსახურების“ შესრულებისას გამოყენებული მასალები და მოწყობილობები უნდა იყოს ხარისხიანი.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. „მომსახურების“ გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #99, ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. #2, ქ. ბათუმი, ქათამაძის ჩიხი #4, ხოლო დემონტაჟის ადგილია; ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. #2, ქ. ბათუმი, ქათამაძის ჩიხი #4.

6.2. თითოეულ რეგიონში მომსახურების გაწევა ,,მიმწოდებელმა" უნდა დაიწყოს ,,შემსყიდველის" მოთხოვნიდან სამ დღეში, მომსახურების გაწევის ვადა 2020 წლის 31 მარტი, ხოლო მომსახურების გაწევის საბოლოო ვადა 2020 წლის 31 ივლისი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, პერიოდულად განხორციელდება მოწოდებული„მომსახურების“ შემოწმება, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

7.2. „მომსახურების“ მიღების დროს გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

7.3მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და ინსპექტირების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები არიან

_____

7.4. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის“ მიერ საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნება „მომსახურების“ უხარისხობა, იგი წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით და მოითხოვს სათანადო კომპენსაციას.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, ფაქტობრივად გაწეული „მომსახურების“ შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

9.მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება „მომსახურების“ ხარისხის, ,,მომსახურების'' ვადის ან/და მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-12 მუხლით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში;

9.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული ,,მომსახურების“ ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

9.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“გაწეული ,,მომსახურების“ ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;

9.4. „მიმწოდებელი“' ვალდებულია:

9.4.1"მიმწოდებელმა"უნდა უზრუნველყოს

9.4.2 ,,მიმწოდებელმა" არსებული ინსინერატორების (საკვამლე მილის გათვალისწინებით) დემონტაჟთან, დასაწყობებასთან და ახალი ინსინერატორების (საკვამლე მილის გათვალისწინებით) მონტაჟთან დაკავშირებით უნდა გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება და გამოიყენოს ყველა საჭირო სპეციალიზირებული ავტომანქანა და მოწყობილობები.

9.4.3 ,,მიმწოდებელმა" ქ. ბათუმში არსებული ინსინერატორის გაუქმებასთან დაკავშირებით უნდა გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება (გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრისთვის სპეციალური პროექტის დამუშავება, პროექტის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოებთან, ინსინერატორის დემონტაჟი და დასაწყობება).

9.4.3. ინსინერატორის გაუქმების პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ტექნოლოგიური პროცესების შეწყვეტის წესებს და რიგითობას, მოწყობილობების დემონტაჟს, სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარების წესებს და პირობებს, უსაფრთხოების დაცვის და გარემოსდაცვითი ღონისძიებებს, საშიში ნარჩენების გაუვნებლობის და განთავსების წესებს და პირობებს და სხვა.

9.4.4. ინსინერატორების დემონტაჟი და დასაწყობება უნდა განხორციელდეს ახალი ინსინერატორების დამონტაჟებამდე რამდენიმე დღით ადრე.

9.4.5 "მიმწოდებელმა" მომსახურების დასრულების შემდეგ უნდა მოახდინოს სამუშაო ზონების დასუფთავება.

9.4.6. იმ შემთხვევაში თუ საჭიროა მწყობრიდან გამოსული რაიმე დეტალის შეცვლა, "მიმწოდებელმა" დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს "შემსყიდველს" და მიაწოდოს დაწვრილებითი ინფორმაცია დაზიანებული დეტალის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ (შესყიდვას განახორციელებს "შემსყიდველი").

9.4.7. ერთეულის ღირებულებაში უნდა შედიოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

9.4.8."მიმწოდებელმა" სამუშაოების ჩატარებისას უნდა იხელმძღვანელოს მწარმოებლის სახელმძღვანელოებით და უსაფრთხოების ინსტრუქციებით. პასუხისმგებელია საკუთარი პერსონალის შრომის უსაფრთხოებაზე და შესაბამისი აღჭურვილობით და შრომის იარაღებით უზრუნველყოფაზე.

9.4.9 ,,მიმწოდებელი" მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ ინსინერატორების დემონტაჟი და დასაწყობება განახორციელოს დაზიანების გარეშე, ხოლო ახალი ინსინერატორების შენობაში შეტანა და საკვამლე მილების მონტაჟი განახორციელოს უსაფრთხოდ, დაზიანების გარეშე, ,,მიმწოდებელი" პასუხისმგებელია ახალი მოწყობილობების დაზიანებაზე.

9.4.10. აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად

შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

9.6 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

9.6.1. მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ ხელშეკრულების ყველა პუქნტის უცილებელი შესრულება.

9.6.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.

9.6.3. არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

9.7 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

9.7.1. განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების“ მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

9.7.2. აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

9.7.3. მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

9.7.5. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

10. პირგასამტეხლო

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა.

10.2. მიმწოდებლის მიერ მოწოდების ვადების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.

10.3. შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანგარიშწირების ვადების გადაცილების შემთხვევაში ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით კონკრეტული შესრულებისათვის გადასახდელი ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, თვეში ერთხელ ჩატარებული ინსპექტირებით გამოვლენილი დარღვევით იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს ოდენობით.

10.5 იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

10.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7 მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში

11. დაუძლეველი ძალის მოქმედება

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით. რომელსაც ცნობენ მხარეები.

11.3. დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების

ზეგავლენისაგან.

11.4. დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

12.ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების 12.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, არაუგვიანეს 15 სამუშაო დღით ადრე.

12.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

13.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1.ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ურთიერთობა მხარეებს შორის

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. ხელშეკრულების სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16.2. „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

16.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.

16.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1.ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

17.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: _____.

17.3.ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

17.4. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

18. განსაკუთრებული შენიშვნები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად და „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

19. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგ. ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ მისამართი: თბილისი, მ.ასათიანის 9 საიდენტიფიკაციო კოდი: 211324351 სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22 გენერალური დირექტორის მოადგილე: _____ ტარიელ ჭანტურიძე	